საქართველოს ბანკი

ტენდერი ჯანმრთელობის დაზღვევის შესყიდვის შესახებ (2024)

გამოცხადების თარიღი:	25 აპრილი, 2024
დასრულების თარიღი:	15 მაისი, 2024 (18:00 საათი)

საკონტაქტო პირები:

ტენდერის მსვლელობის საკითხებთან დაკავშირებით:
ნინო მიქელაძე
nimikeladze@bog.ge
+995 (599) 88 43 22

დაზღვევის პირობებთან დაკავშირებით:
თიკო პატარქალიშვილი
tpatarkalishvili@bog.ge
+995 (558) 10 85 47

სარჩევი

1. ზოგადი ინფორმაცია 2
2. საკვალიფიკაციო მოთხოვნები 2
3. აუცილებელი მოთხოვნები 2
4. მომსახურების ხარისხის მართვა 3
5. ტენდერის ფარგლებში წარსადგენი სავალდებულო დოკუმენტაცია 4
6. კომერციული წინადადების წარდგენის ინსტრუქცია 4
7. ანგარიშსწორება 5
8. შეფასების კრიტერიუმები 5
9. დანართი - ინფორმაცია დაზღვევის შესახებ 5

i. ტერმინთა განმარტებები 5
ii. ძირითადი მომსახურების ჩამონათვალი და განმარტება 6
iii. დამატებითი მომსახურება 9
iv. დამატებითი ბენეფიტები / ფასდაკლებები 9
v. გამონაკლისები 10

1. ზოგადი ინფორმაცია

სს საქართველოს ბანკი (შემდგომში ბანკი) აცხადებს ტენდერს **ორ ლოტად** თანამშრომლების ჯანმრთელობის დაზღვევის მომსახურების შესყიდვასთან დაკავშირებით.

ტენდერი ცხადდება გამარჯვებულ სადაზღვევო კომპანიასთან/კომპანიებთან (შემდგომში კომპანია) გენერალური ხელშეკრულების გაფორმების მიზნით, რომლის მიხედვითაც განისაზღვრება ჯანმრთელობის დაზღვევის ფარგლებში მხარეთა შორის თანამშრომლობის ძირითადი პირობები.

*ბანკი უფლებას იტოვებს ტენდერის ჩატარების შედეგად ხელშეკრულება გააფორმოს ორ კომპანიასთან და ამ მიზნით პოლისები გადაანაწილოს საკუთარი შეხედულებისამებრ, შესაბამისად **დაინტერესებული პრეტენდენტი კომპანია ვალდებულია კომერციული წინადადება წარმოადგინოს ორი სახით:**

- **ლოტი I -** სადაც ბანკი იტოვებს უფლებას, ტენდერის ფარგლებში შეარჩიოს მხოლოდ 1 კომპანია ექსკლუზიური უფლებით;
- **ლოტი II -** სადაც ბანკი იტოვებს უფლებას, ტენდერის ფარგლებში შეარჩიოს 2 კომპანია და პოლისები გადაანაწილოს თანამშრომელთა არჩევანის მიხედვით.
  - **შენიშვნა:** რაოდენობის განსაზღვა მოხდება მხოლოდ ხელშეკრულების გაფორმების შემდგომ, რადგან აღნიშნული დამოკიდებულია ბანკის თანამშრომელთა თავისუფალ ნებაზე.
  - ბანკის თანამშრომელს უფლება აქვს შეიცვალოს მომსახურე კომპანია **ყოველ 12 თვეში ერთხელ** საკუთარი სურვილისამებრ.

ურთიერთთანამშრომლობის საორიენტაციო საერთო ვადა შეადგენს 24 (ოცდაოთხი) თვეს. ამასთან, თუ ხელშეკრულების ვადის ამოწურვამდე 6 (ექვსი) თვით ადრე რომელიმე მხარეს არ ექნება პრეტენზია ხელშეკრულების გაგრძელებასთან დაკავშირებით, ხელშეკრულება ერთჯერადად გაგრძელდება დამატებით 12 (თორმეტი) თვით.

ხელშეკრულების ძალაში შესვლის თარიღი: 2024 წლის 2 აგვისტო.

დაზღვეულთა რაოდენობა ~12,200 ადამიანი (გადანაწილება დაზღვეული თანამშრომლების და მათი ოჯახის წევრების რაოდენობის შეადგენს დაახლოებით 50-50%).

ტერმინთა განმარტებები და დამატებითი ინფორმაცია დაზღვევის შინაარსთან დაკავშირებით იხილეთ დოკუმენტის ბოლოს.

2. საკვალიფიკაციო მოთხოვნები

- კომპანიას უნდა ჰქონდეს შესაბამისი მომსახურების გაწევის მინიმუმ 5 წლიანი გამოცდილება და შესაძლებლობა - **ბანკს მოემსახუროს საქართველოს ყველა რეგიონში.**
- კომპანიამ დაზღვეულები უნდა უზრუნველყოს **ელექტრონული ბარათებით.**
- მომსახურების შესასრულებლად კომპანიას უნდა ჰყავდეს კომპეტენტური და გამოცდილი გუნდი.
- კომპანიის წინააღმდეგ არ უნდა მიმდინარეობდეს გადახდისუუნარობის საქმის წარმოება და პრეტენდენტი არ უნდა იყოს ლიკვიდაციის / რეორგანიზაციის პროცესში.
- ტენდერის განმავლობაში კომპანიას აქვს ვალდებულება მოთხოვნისამებრ წარმოადგინოს ნებისმიერი იურიდიული თუ ფინანსური დოკუმენტი.
- ხელშეკრულების და წინამდებარე დოკუმენტის პირობებს შორის წინააღმდეგობის შემთხვევაში უპირატესობა მიენიჭება ხელშეკრულების პირობებს.
- ხელშეკრულების მოქმედების ფარგლებში შემოთავაზებული ტარიფი იქნება **ფიქსირებული.** კომპანია უფლებამოსილია მოახდინოს მომსახურების საფასურის გადახედვა იმ შემთხვევაში, თუ საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ოფიციალური **გაცვლითი კურსი, აშშ დოლარსა და ლარს შორის გადააჭარბებს 4.0-ს** ამასთან მომსახურების საფასურის ცვლილება მოხდება მხოლოდ ბანკის თანხმობით და მხარეთა შორის გაფორმებული შესაბამისი დამატებითი შეთანხმებით;
- **მომსახურების ხარისხის კონტროლი** - მომსახურების ხარისხის მაჩვენებლების შეფასებას მოახდენს ბანკისა და კომპანიის მიერ ურთიერთშეთანხმების საფუძველზე შერჩეული დამოუკიდებელი კვლევითი ორგანიზაცია, გარკვეული პერიოდულობით. დეტალური ინფორმაცია იხ. ქვემოთ.

***გთხოვთ გაითვალისწინოთ,** რომ წინამდებარე ტენდერის გამოცხადება არ ავალდებულებს ბანკს რომელიმე კომპანიასთან ხელშეკრულების გაფორმებას, ამასთანავე ბანკი იტოვებს უფლებას ნებისმიერ ეტაპზე შეწყვიტოს ან გადაავადოს ტენდერი.

3. აუცილებელი მოთხოვნები

ტენდერში მონაწილეობისათვის, ზემოაღნიშნული სადაზღვევო პირობების დაკმაყოფილების გარდა დამზღვევი უნდა აკმაყოფილებდეს მომსახურების კუთხით შემდეგ პირობებს:

- შემოთავაზებული უნდა იყოს **გამონაკლისი შემთხვევებისთვის დაზღვევა**, რომლის ფარგლებშიც უნდა ანაზღაურდეს ბანკის უფლებამოსილი პირების მიერ დამოწმებული არასტანდარტული შემთხვევები (მათ შორის კონკრეტული პაკეტის ფარგლებში ლიმიტის ამოწურვა) ჯამურად არანაკლებ 50,000 ლარის ოდენობით, რომლითაც სარგებლობის შესაძლებლობა გავრცელდება ყველა დაზღვეულზე;
- შენარჩუნებული უნდა იყოს თანამშრომლისა და მისი დაზღვეული ოჯახის წევრის შესაძლებლობა **მიმართოს ნებისმიერ ლიცენზირებულ სამედიცინო დაწესებულებას მისი შეხედულებისამებრ,** ანაზღაურება მოხდება შესაბამისი პაკეტის მიხედვით (როგორც პროვაიდერ ასევე არაპროვაიდერ სამედიცინო დაწესებულებებში);
- **მოსარგებლეს უნდა შეეძლოს, მიიღოს მიმართვები ონლაინ პორტალის საშუალებით, როგორც პროფილაქტიკურ ასევე გეგმიურ მომსახურებებზე.**
- მზღვეველი ვალდებულია დაზღვეულის სურვილის შემთხვევაში, დააზღვიოს დაზღვეულის ოჯახის წევრები მათი ასაკის შეუზღუდავად (მეუღლე და შვილ(ებ)ი / გერ(ებ)ი) მათთვის სასურველი სადაზღვევო პაკეტით, **რომელიც არ არის აუცილებელი იყოს მისი ოჯახის წევრის პაკეტის მსგავსი;**
- მოცდის პერიოდის არ არსებობა ანაზღაურების მისაღებად;
- ბანკს უნდა ჰქონდეს შესაძლებლობა ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში სადაზღვევო პოლისს თავისი შეხედულებისამებრ დაამატოს დაზღვეულის **ოჯახის ახლად შეძენილი წევრები**;
- დაზღვეულს უნდა ჰქონდეს უფლება სადაზღვევო წლის განმავლობაში ახლად მიღებული თანამშრომლების დაზღვევის (ინდივიდუალური სადაზღვევო წლის გათვალისწინებით);
- სამედიცინო მომსახურების მიღებიდან დოკუმენტების ასანაზღაურებლად წარდგენისათვის დასაშვები ვადა უნდა იყოს **60 კალენდარული დღე;**
- წარდგენილი დოკუმენტების ანაზღაურება უნდა მოხდეს წარდგენიდან **არაუგვიანეს 5 სამუშაო დღისა;**
- **მოქნილი ანაზღაურების სისტემა** რაც მოიცავს თანხის ადგილზე გაცემას გარკვეულ ლიმიტამდე;
- შემოთავაზებული უნდა იყოს **ელექტრონული პორტალი,** სადაც დაზღვეულს და მოსარგებლეს ექნება შესაძლებლობა მართოს პოლისი და მოითხოვოს ანაზღაურება;
- შემოთავაზებულ უნდა იყოს დოკუმემნტების სადაზღვევოსთვის მიწოდების სქემა, თანამშრომლის სადაზღვევო **ოფისში მისვლის გარეშე,** რომელიც უნდა დაიფაროს სადაზღვევო კომპანიის ხარჯით;
- დაავადებათა პროფილაქტიკა მიმართვის გარეშე/ონლაინ მიმართვით არანაკლებ წელიწადში 2-ჯერ, რომელიც ითვალისწინებს 1 ვიზიტის ფარგლებში ორი რომელიმე სისტემის ექოსკოპიას;
- **საზღვარგარეთ მკურნალობის ანაზღაურება;**
- ბანკის დაზღვეულებს უნდა ჰქონდეთ ყოველწლიური შესაძლებლობა წინასწარ შეთანხმებულ ვადებში წინასწარ განსაზღვრული პერიოდის განმავლობაში **შეცვალონ ნებისმიერი პოლისი მათთვის სასურველით** (აღნიშნული ვრცელდება როგორც ბანკის თანამშრომლებზე, ასევე მათ ოჯახის წევრებზე);
- საჭიროების შემთხვევაში **საგარანტიო წერილის გაცემა** ყველა ლიცენზირებული კლინიკისთვის;
- **დაზღვევამდე არსებული დაავადებების ანაზღაურება;**
- სადაზღვევო კომპანია ვალდებულია ყოველწლიურად წელიწადში ორჯერ ჩაატაროს დაზღვეული **თანამშრომლების კმაყოფილების კვლევა,** რომლის კითხვარი წინასწარ უნდა იყოს შეთანხმებული დამკვეთთან და კვლევაში მიღებული შედეგები უნდა იყოს გამჭვირვალე. კვლევის მიზანია თანამშრომელთა კმაყოფილების შენარჩუნება და გაუმჯობესება, რისთვისაც სადაზღვევო კომპანიამ უნდა უზრუნველყოს კვლევაში გამოვლენილი საკითხების გაუმჯობესება.

4. მომსახურების ხარისხის მართვა

ბანკის მოთხოვნაა მომსახურების ხარისხი გაუმჯობესდეს წლიდან წლამდე. გაუმჯობესება შესაძლოა გამოიხატოს სადაზღვევო ლიმიტების ზრდით ან მომხმარებლების კმაყოფილების მაჩვენებლის ზრდით, იმის მიხედვით თუ რა კრიტერიუმები გამოვლინდება კვლევის შედეგად ყველაზე კრიტიკულ ფაქტორებად ბანკის თანამშრომლებისთვის.

მომხმარებლების კმაყოფილების გაზომვა მოხდება ყოველწლიურად, წელიწადში ორჯერ, რის გასაზომადაც მხარეები გამოიყენებენ შიდა რესურსს ან/და გარე კონსულტანტს. კვლევის შედეგები და დათვლის მეთოდები უნდა იყოს ცხადი და გამჭვირვალე ორივე მხარისთვის, რაც საშუალებას მოგვცემს ზუსტად გამოვავლინოთ უკმაყოფილო დაზღვეულების გაჩენის მიზეზი.

კმაყოფილების სამიზნე მაჩვენებლის მაგალითი მოცემულია ქვემოთ:

მინიმალური მაჩვენებელი

	1 წელი	**2 წელი**	**3 წელი**
NPS	BASELINE + 10% (MIN 0 %)	BASELINE + 15% (MIN 10%)	BASELINE + 20% (MIN 20%)

მხარეების მიერ შეთანხმებული მომსახურების გაუმჯობესების გეგმის დარღვევა ჩაითვლება ხელშეკრულების პირობის დარღვევად, რის გამოც მხარეს დაეკისრება ფულადი ჯარიმა. აღნიშნულ სანქციის

მოცულობა და ფორმასთან დაკავშირებით, გამარჯვებული პრეტენდენტი და ბანკი კონტრაქტის გაფორმებამდე აწარმოებენ დამატებით მოლაპარაკებას.

***ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, პრეტენდენტებმა ტენდერის ფარგლებში უნდა წარმოადგინონ მომსახურების გაუმჯობესების მართვის 3 წლიანი გეგმა.**

5. ტენდერის ფარგლებში წარსადგენი სავალდებულო დოკუმენტაცია

ტენდერით დაინტერესებულმა კომპანიებმა ყველა სავალდებულო დოკუმენტი უნდა ატვირთონ პლატფორმაზე https://tenders.ge/ .

ამასთან, კომერციული წინადადება წარმოდგენილი უნდა იყოს საქართველოს ეროვნულ ვალუტაში - ლარში და მოიცავდეს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებსა და გადასახდელებს.

სავალდებულო დოკუმენტაცია:

- **ფასების ცხრილი:**
  - **(დანართი #1 - ლოტი I),** რომელიც ასევე მოიცავს ინფორმაციას განსაფასებელი სადაზღვევო პოლისების შესახებ;
  - **(დანართი #1 - ლოტი II),** რომელიც ასევე მოიცავს ინფორმაციას განსაფასებელი სადაზღვევო პოლისების შესახებ;
  - **დამატებითი გაუმჯობესებული პოლისების დაფარვები და განფასება;**
- შემოთავაზებული ბენეფიტების ცხრილი **(დანართი #2);**
- შემოთავაზებული ფასდაკლებების ცხრილი **(დანართი #2);**
- შევსებული დაავადებათა პროფილაქტიკის ცხრილი **(დანართი #3)**;
- საკონტაქტო ინფორმაცია / საბანკო რეკვიზიტები **(დანართი #4);**
- შევსებული მზღვეველის კონტრაქტორი / პროვაიდერი დაწესებულებების სია და შესაბამისი შემაჯამებელი დანართი **(დანართი #5);**
- **მომსახურების გაუმჯობესების მართვის 3 წლიანი გეგმის დოკუმენტი;**
- ცნობა საბიუჯეტო დავალიანების შესახებ;
- ფინანსური ბრუნვის ამონაწერი 01/01/2022 – 01/04/2023 პერიოდზე, შესატყვისი ექსელის ფაილით ან შესაბამისი ფინანსური დოკუმენტაცია (მოგება/ზარალის უწყისი);
- **ამონაწერი** სამეწარმეო რეესტრიდან;
- **ინფორმაცია კომპანიის შესახებ, მოკლე აღწერა/პრეზენტაცია** (სადაც ნაჩვენები იქნება პრეტენდენტის გამოცდილება, კლიენტების სია, არსებული პროდუქტების ჩამონათვალი და ა.შ.).
- **მინიმუმ ორი რეკომენდაცია** სხვა ორგანიზაციისაგან გაცემული უკანასკნელი 2 თვის განმავლობაში;

<u>დოკუმენტაცია უნდა აიტვირთოს, როგორც ხელმოწერილი/დასკანერებული სახით, ასევე ექსელის ფაილების სახითაც (აუცილებლად). ორ დოკუმენტს შორის სხვაობის შემთხვევაში, უპირატესობა მიენიჭება ხელმოწერილ დოკუმენტს.</u>

6. კომერციული წინადადების წარდგენის ინსტრუქცია

დაინტერესებულმა კომპანიამ სავალდებულოდ უნდა შეავსოს ფასების ცხრილის ორივე დანართი, რომელიც განკუთვნილია შესაბამისი ლოტისთვის:

- **ლოტი I -** სადაც ბანკი იტოვებს უფლებას, ტენდერის ფარგლებში შეარჩიოს მხოლოდ 1 კომპანია ექსკლუზიური უფლებით;
- **ლოტი II -** სადაც ბანკი იტოვებს უფლებას, ტენდერის ფარგლებში შეარჩიოს 2 კომპანია და პოლისები გადაანაწილოს თანამშრომელთა არჩევანის მიხედვით.
  - შენიშვნა: რაოდენობის განსაზღვა მოხდება მხოლოდ ხელშეკრულების გაფორმების შემდგომ, რადგან აღნიშნული დამოკიდებულია ბანკის თანამშრომელთა თავისუფალ ნებაზე.
  - ბანკის თანამშრომელს უფლება აქვს შეიცვალოს მომსახურე კომპანია **ყოველ 12 თვეში ერთხელ** საკუთარი სურვილისამებრ.

ფასების ცხრილში მითითებულია 3 ძირითადი პაკეტი, რომელშიც (წინა წლების სტატისტიკით) ხვდება დაზღვეულთა დიდი ნაწილი, კერძოდ:

- **ბარათის ტიპი I** - დაზღვეულთა 75%
- **ბარათის ტიპი II** - დაზღვეულთა 10%

- **ბარათის ტიპი I*** - აღნიშნული სადაზღვევო პაკეტით სარგებლობენ ბანკის თანამშრომლები სპეციფიური სამუშაო გარემოდან გამომდინარე, ამასთან:
    - აღნიშნული პაკეტით დაზღვეულთა რაოდენობა არ აღემატება 100-ს,
    - აღნიშნული პაკეტით არ სარგებლობენ მათი ოჯახის წევრები,
    - პაკეტის ფასი არ უნდა აღემატებოდეს ბარათის ტიპი I-ის ტარიფს.

- **გარდა ფიქსირებული ბარათის ტიპებისა, კომპანიამ უნდა წარმოადგინოს დამატებითი პოლისები გაუმჯობესებული დაფარვებით/ლიმიტებით (მინიმუმ 5). აღნიშნულ კატეგორიაში ხვდება დაზღვეულთა 15%. აუცილებელია კომპანიამ წარმოადგინოს ასევე, ის დამატებითი ბენეფიტები, რასაც გაუმჯობესებული პოლისები ითვალისწინებენ.**

7. ანგარიშსწორება

ხელშეკრულების მოქმედების ფარგლებში ანგარიშსწორება განხორციელდება ყოველთვიურად.

8. შეფასების კრიტერიუმები

გამარჯვებული კომპანია შეირჩევა შეფასების კრიტერიუმების მიხედვით:

- კომერციული წინადადება **60%** (შეფასება მოხდება ბარათის ტიპი I და ბარათის ტიპი II-ის ტარიფებით)
- მომსახურების არეალი (დაფარვა, პროვაიდერი კლინიკების რაოდენობა) **30%**
- დაავადებათა პროფილაქტიკა / დამატებითი ბენეფიტები / ფასდაკლებები **10%**

წინადადებები შეფასდება სატენდერო კომისიის მიერ წინასწარ განსაზღვრული კრიტერიუმების და წონების მიხედვით. წინადადება შეიძლება ჩაითვალოს არსებითად შესაბამისად თუ ის აკმაყოფილებს სატენდერო დოკუმენტაციის მოთხოვნებს რაიმე მატერიალური გადახრების, დათქმისა და გამოტოვების გარეშე.

საბოლოო გადაწყვეტილების მისაღებად, ბანკი იტოვებს უფლებას, გამარჯვებულის გამოვლენამდე, დაგეგმოს შეხვედრები ტენდერში მონაწილე შერჩეულ კომპანიებთან, გასაუბრებისა და შესაძლო დამატებითი დეტალების დაზუსტების მიზნით.

<u>წინადადების წარდგენით კომპანია ეთანხმება სატენდერო განაცხადში მითითებულ მოთხოვნებსა და პირობებს.</u>

9. დანართი - ინფორმაცია დაზღვევის შესახებ

i. ტერმინთა განმარტებები

დამზღვევი - პირი, რომელიც აფორმებს დაზღვევის ხელშეკრულებას მზღვეველთან;
მზღვეველი - სადაზღვევო კომპანია;
დამსაქმებელი - პირი, რომელიც დაზღვევის ხელშეკრულების საფუძველზე ორგანიზებას უწევს დამზღვევის/დამზღვევთა მიერ სადაზღვევო პრემიის გადახდას და მზღვეველის მიერ სადაზღვევო პრემიის მიღებას და რომელიც, ამავდროულად წარმოადგენს დამსაქმებლის/დამკვეთის სახით დამზღვევ(ებ)თან შრომით/მომსახურების/სასამსახურო ურთიერთობაში მყოფ პირს;
დაზღვეული - პირი, რომლის სასარგებლოდაც ხორციელდება დაზღვევის ხელშეკრულებით გათვალისწინებული დაზღვევა;
მოსარგებლე - პირი, რომელიც დაზღვევის ხელშეკრულების და/ან კანონმდებლობის შესაბამისად უფლებამოსილია, მიიღოს სადაზღვევო ანაზღაურება;
დაზღვევის პირობები - დაზღვევის ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობები, რომელიც განსაზღვრავს სადაზღვევო დაფარვის პირობებსა და მისი განხორციელების წესებს;
უბედური შემთხვევა – გაუთვალისწინებელი, მოულოდნელი შემთხვევა, გამოწვეული თვალსაჩინო გარეგანი ძალ(ებ)ის ზემოქმედებით, რომელიც განაპირობებს დაზღვეულის გარდაცვალებას ან სხეულის დაზიანებას, რომელიც იწვევს დაზღვეულის შრომისუუნარობას ან/და ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესებას.
სიცოცხლის დაზღვევა - ითვალისწინებს ინდივიდუალური სადაზღვევო პერიოდის განმავლობაში დაზღვეულის ნებისმიერი მიზეზით გარდაცვალების შემთხვევაში (შესაბამისი გამონაკლისი შემთხვევების

გარდა) მისი მემკვიდრისათვის (მოსარგებლისათვის) ფიქსირებული სადაზღვევო თანხის გადახდას. დაზღვეულის გაუჩინარება (უგზო-უკვლოდ დაკარგვა) არ მიიჩნევა გარდაცვალებად.

პროვაიდერი – კონკრეტული სამედიცინო დაწესებულება, მათ შორის, სტომატოლოგიური კლინიკა, და/ან ექიმი (ვიწრო პროფილის ექიმი-სპეციალისტი, ისევე როგორც, პერსონალური ექიმი), რომელიც მზღვეველთან გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე, სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას უზრუნველყოფს დაზღვეულისთვის სამედიცინო ჩვენების მიხედვით დაზღვევის ხელშეკრულებით განსაზღვრული სამედიცინო მომსახურების გაწევას;

მოცდის პერიოდი – პერიოდი, რომელიც აითვლება ინდივიდუალური სადაზღვევო პერიოდის დაწყების თარიღიდან და რომლის განმავლობაშიც დაზღვეულს არ აუნაზღაურდება ამ პერიოდში დამდგარ შემთხვევასთან დაკავშირებული ხარჯები;

ჰოსპიტალური მომსახურება – სტაციონარული მკურნალობა, რომლის ხანგრძლივობაც, სამედიცინო ჩვენების მიხედვით, აღემატება 24 (ოცდაოთხი) საათს;

ამბულატორიული მომსახურება – სამედიცინო მომსახურება, რომელიც, სამედიცინო ჩვენების მიხედვით, არ საჭიროებს სამედიცინო დაწესებულებაში 24 (ოცდაოთხი) საათზე მეტი ხნით დაყოვნებას.

დღის სტაციონარი - **დანართი #0**-ით გათვალისწინებული დაავადებ(ებ)ის სტაციონარული მკურნალობა, მიუხედავად იმისა, სტაციონარში დაყოვნების ხანგრძლივობა აღემატება თუ არა 24 (ოცდაოთხი) საათს;

ii. ძირითადი მომსახურების ჩამონათვალი და განმარტება

წინამდებარე ტენდერში შესასყიდი პაკეტების დეტალური ტექნიკური აღწერა მოცემულია **დანართი #2** - ში. ამასთან, შემოთავაზებული წინადადებები სრულად უნდა აკმაყოფილებდეს შესაბამისი დანართით გათვალისწინებულ ყველა მომსახურებას, შესაბამისი დაფარვით და ანაზღაურების ლიმიტით.

დღის სტაციონარი

მოიცავს შემდეგ ჩარევებს/მანიპულაციებს/ქირურგიულ ოპერაციებს:

გინეკოლოგია
ჰისტეროსკოპია (დიაგნოსტიკა, მანიპულაციები, ოპერაციები)
კონიზაცია
აბლაცია
დიაგნოსტიკური გამოფხეკა (გარდა შეწყვეტილი ორსულობისა)
ბართოლინის ჯირკვლის ამოკვეთა და დრენაჟი
საშოს კისტის ამოკვეთა
ლაპარასკოპიული სალპინგექტომია
ლაპარასკოპიული კისტექტომია

კარდიოვასკულარული სისტემა:
სტიმულატორები
კარდიოვერსია

ოტორინოლარინგოლოგია:
ადენოიდექტომია
ტონზილექტომია
ადენოტონზილექტომია
ნაზალური პოლიპექტომია
კონხოტომია
სეტპოპლასტიკა
ქრონიკული სინუსიტი - ენდოსკოპიური ოპერაცია
მირინგოტომია
ჰაიმოროტომია
სეპტოპლასტიკა, ნიჟარების დეზინტეგრაცია

ოფთალმოლოგია:
კატარაქტას ოპერაცია
ბლეფაროპლასტიკა
ქალაზიონის ექსციზია
ლაკრიმალური ჯირკვლის დრენაჟი
ენტროპიონის/ექტროპიონის ოპერაცია
კერატოპლასტიკა
ლაზერო/ფოტოკოაგულაცია
ენუკლეაცია/ევისცერაცია
ფტერიგეუმის ამოკვეთა
გუგის პლასტიკა

დაკრიოცისტორინოსტომია
დაკრიოცისტექტომია
ვიტრექტომია
წინა ვიტრექტომია
სკლერის პლომბირება
ინტრასტრომალური რკალების იმპლანტაცია
გამჭოლი კერატოპლასტიკა
სიელმის კორექცია
YAG ლაზერული ქირურგია

გასტროენტეროლოგია:
თრომბოზული ჰემოროიდის ამოკვეთა/ლიგირება
პილონიდალური კისტის ამოკვეთა
დერმოიდული კისტის დრენირება
პერიანალური დაზიანების, კონდილომას ამოკვეთა
გაურთულებელი ფიზურექტომია
პოლიპექტომია სწორი ნაწლავიდან
ენდოსკოპიური პაპილოტომია/სფინქტეროტომია
ვარიკოზული ვენების (კუჭის, საყლაპავის) გეგმური ენდოსკოპიური ლიგირება
ენდოსკოპიური გასტროსტომია
ენდოსკოპიური პოლიპექტომია
ენდოსკოპიურად უცხო სხეულის ამოღება

გენიტოურინარული ტრაქტი:
ტროაკარული ეპიცისტოსტომია
ცირკუმციზიო
ლაგამის ჩაკვეთა
ლითოტრიფსია

ყბა-სახის ქირურგია:
ჰაიმორის ღრუში შემავალი კისტის ამოკვეთა
ქვედა ყბის არხში ჩაზრდილი კისტის ამოკვეთა
სახის რბილი ქსოვილების კეთილთვისებიანი სიმსივნის ამოკვეთა
სუბპერიოსტალური აბსცესის გაკვეთა
პერიოსტიტის ოპერაციული მკურნალობა

ქირურგია შერეული:
ნაწიბურების, ხალების, სიმსივნური წარმონაქმნების ამოკვეთა კანიდან
თითის ამპუტაცია
რბილი ქსოვილების კისტების და აბსცესების დრენირება
ქვემო კიდურის ვარიკოზული ვენების სტრიპინგი ან ლიგაცია
ლიმფური კვანძების ამოკვეთა
ზედაპირული ჭრილობის მარტივი დამუშავება/აღდგენა/უცხო სხეულის ამოღება
კრიოთერაპია

ორთოპედია, ტრავმატოლოგია:
ფიქსატორის დემონტაჟი რეგიონალური ან ადგილობრივი ანესთეზიით

24 საათიანი სატელეფონო მომსახურება

ითვალისწინებს სადღეღამისო სატელეფონო-საინფორმაციო, საორგანიზაციო კონსულტაციებს ჯანმრთელობის მდგომარეობასთან დაკავშირებული ნებისმიერი საკითხის ან პრობლემის წარმოქმნისას; ამ დროს დაზღვეულს საშუალება ეძლევა მიიღოს სრული და ოპერატიული ინფორმაცია სადაზღვევო პროგრამის, სამედიცინო მომსახურების ორგანიზებისა და კოორდინირების შესახებ.

პირადი (პერსონალური) ექიმის მომსახურება

დაზღვეულის მიერ განხორციელებული სატელეფონო შეტყობინებიდან, არაუგვიანეს 2 (ორი) სამუშაო დღის ვადაში, უზრუნველყოს პირადი/ოჯახის ექიმის კონსულტაცია. ოჯახის/პირადი ექიმის კონსულტაცია, სამედიცინო საჭიროების შემთხვევაში ბინაზე გამოძახებით 24 საათის განმავლობაში. დაზღვეულის ჯანმრთელობის მდგომარეობის მონიტორინგი, სადაზღვევო შემთხვევის მართვა, სამედიცინო ჩვენებისას მიმართვის გაცემა დამატებითი კონსულტაციების და/ან გამოკვლევების ჩასატარებლად. მკურნალობის დანიშვნა და მისი შეთანხმება კონკრეტული პროფილის სპეციალისტებთან, რეცეპტის (საგარანტიო

წერილის) და საჭიროების შემთხვევაში ყველა სახის სამედიცინო ცნობებისა და საავადმყოფო ფურცლის უფასო გაცემა, (გარდა სამსახურის დაწყებასთან დაკავშირებით ფორმა №100/ა, სსიპ – შსს–ს მომსახურების სააგენტოში ავტომობილის მართვის მოწმობისა და იარაღის შენახვის/ტარების უფლების მისაღებად წარსადგენი ცნობებისა)." მზღვეველი იღებს ვალდებულებას გამოყოს შემსყიდველის თანამშრომლებისათვის ოჯახის/პირადი ექიმი ორშაბათიდან შაბათის ჩათვლით. მომსახურების შეფერხების/არაჯეროვნად შესრულების თავიდან აცილების მიზნით, მზღვეველმა უნდა გამოყოს ოჯახის ექიმთა საკმარისი რაოდენობა, რომელიც მოემსახურება შემსყიდველი ორგანიზაციის თანამშრომლებს და მათი ოჯახის წევრებს.ამასთან მზღვეველმა შემსყიდველს უნდა წარმოუდგინოს ოჯახის ექიმთა რაოდენობა და მათი ლოკაციის ადგილი. დაუშვებელია ოჯახის ექიმების რაოდენობების შემცირება შემსყიდველთან შეთანხმების გარეშე.

სასწრაფო სამედიცინო დახმარება

ითვალისწინებს საქართველოს ტერიტორიაზე არსებული ნებისმიერი ლიცენზირებული სასწრაფო სამედიცინო დახმარების ბრიგადების მომსახურებას. აგრეთვე, საჭიროების შემთხვევაში, მათ მიერ უფასო ტრანსპორტირებას საქართველოს მთელ ტერიტორიაზე.

ჰოსპიტალური სამედიცინო მომსახურება

ჰოსპიტალური მომსახურება მოიცავს როგორც გადაუდებელი, ასევე გეგმიური ჰოსპიტალური მომსახურების შემთხვევაში სამკურნალო–დიაგნოსტიკური, ლაბორატორიული და ინსტრუმენტული გამოკვლევების და მკურნალობის უზრუნველყოფას, (ყველა სახის ოპერაციული მკურნალობა, გარდა შეთანხმებული გამონაკლისებისა) ნებისმიერი სახის გაუტკივარებით დაზღვეული პირის არჩევით, მოვლის და ყველა სხვა აუცილებელი ღონისძიებების ხარჯების ანაზღაურებას.
ჰოსპიტალური მომსახურება ასევე მოიცავს ყველა სახის დაავადების მკურნალობის ხარჯების ანაზღაურებას, გარდა ჩამოთვლილი გამონაკლისებისა თავისუფალი არჩევანის პრინციპის დაცვით, საქართველოს მთელ ტერიტორიაზე არსებულ ნებისმიერ ლიცენზირებულ პროვაიდერ თუ არაპროვაიდერ კლინიკაში.

ონკოლოგია

ონკოლოგიური მომსახურება, ითვალისწინებს, როგორც კეთილთვისებიანი, ასევე, ავთვისებიანი ონკოლოგიური პრობლემატიკის დიაგნოსტიკას, ქიმიო და სხივური მკურნალობის, ჰორმონოთერაპიის, აგრეთვე, ამ პროცედურებთან დაკავშირებული გამოკვლევებისა და მედიკამენტების ხარჯების ანაზღაურებას.

ორსულობა

ორსულობა ითვალისწინებს ორსულთა პატრონაჟისათვის საჭირო სამედიცინო მომსახურებების (ექიმის კონსულტაცია, ლაბორატორიული და ინსტრუმენტული გამოკვლევები, ორსულობასთან დაკავშირებული მედიკამენტები, ასევე ორსულობის გართულებების დიაგნოსტირება და მკურნალობა და სამედიცინო ჩვენებით, ორსულობის ტერმინაცია) ხარჯების ანაზღაურებას.

მშობიარობა
მშობიარობა ითვალისწინებს მშობიარობის და შემდგომ პერიოდის ყველა სახის სამედიცინო მომსახურებას კლინიკაში, დაზღვეულის სურვილით ნებისმიერი გაუტკივარებით ფიზიოლოგიური და/ან გართულებული მშობიარობის ასევე საკეისრო კვეთას სამედიცინო ჩვენებით, აბორტისა და მკვდარი ნაყოფის გამოძევების ხარჯების ანაზღაურებას სამედიცინო ჩვენებით ნებისმიერ ლიცენზირებულ კლინიკაში ექიმის თავისუფალი არჩევანის პრინციპის დაცვით. პაციენტის/დაზღვეულის კლინიკაში მიყვანის დროს, თუ კლინიკაში არ იმყოფება პაციენტის მიერ არჩეული ექიმი, მაშინ პაციენტს/დაზღვეულს უფლება აქვს გამოძახოს მის მიერ არჩეული იმავე კლინიკის ექიმი და აღნიშნულ შემთხვევაში გამოძახებული ექიმი არ შეიძლება ჩაითვალოს, როგორც მოწვეული ექიმი.

ამბულატორიული მომსახურება

ამბულატორიული მომსახურება საქართველოს მთელს ტერიტორიაზე არსებულ ნებისმიერ ლიცენზირებულ სამედიცინო დაწესებულებებში თავისუფალი არჩევანის პრინციპის დაცვით, გულისხმობს, როგორც გეგმიურ, ასევე გადაუდებელი ნებისმიერი ტიპის ამბულატორიულ მომსახურებას, ასევე ოპერაციული მკურნალობის ხარჯებს (რომლის დროსაც სტაციონარში დაყოვნების საჭიროება არ აღემატება 24 საათს) - ნებისმიერი სახის გაუტკივარებით.

წამლ(ებ)ის/მედიკამენტ/ებ/ის ღირებულების ანაზღაურება

ექიმის მიერ დანიშნული ყველა სახის ფარმაცევტული პროდუქტი (სამკურნალო საშუალება) – წამალი ან ფიზიოლოგიურად აქტიური, ბუნებრივი გზით მიღებული ნივთიერება ან მათი კომბინაცია, რომლებიც

ნებადართულია სამედიცინო გამოყენებისათვის, მათ შორის ბიოლოგიურად აქტიური დანამატის ხარჯების ანაზღაურება, გარდა ჩამოთვლილი გამონაკლისებისა, აღნიშნული ფარმაცევტული პროდუქტებზე დაზღვეულის მიერ გადახდილი თანხის ანაზღაურება.

დაავადებათა პროფილაქტიკა

აუცილებელია, რომ ნებისმერი დაზღვეულის პაკეტში შედიოდეს სადაზღვევო კომპანიასთან წინასწარი შეტყობინებით, დაზღვეულის სურვილისამებრ საქართველოს ტერიტორიაზე არსებული მზღვეველის პროვაიდერ ლიცენზირებულ სამედიცინო დაწესებულებებში დანართი #3-ით გათვალისწინებული მომსახურებების მიღება. ამასთან მონაწილეებს აქვთ შესაძლებლობა, რომ შესაბამისი დანართით გათვალისწინებულ სიას დაუმატონ მომსახურება თავიანთი შეხედულებისამებრ. აღნიშნული სია გათვალისწინებული იქნება მონაწილეების შეფასებისას.

სტომატოლოგიური მომსახურება

ყველა სახის დიაგნოსტიკა, თერაპიული (მათ შორის დიაგნოსტიკურ რენტგენოგრაფია, კბილის დაბჟენა) და ქირურგიული (პარადონტოლოგია) მკურნალობა; პაროდონტისა და ლორწოვანი გარსის მწვავე და ოდონტოგენური წარმოშობის დაავადებების მკურნალობა; კბილების პროფესიული წმენდა/კბილების წმენდა ქვებისაგან/სკალირება პროვაიდერ კლინიკებში, მომართვის მოთხოვნის გარეშე.

იმ შემთხვევაში თუ მზღვეველს არ გააჩნია პროვაიდერი კლინიკა რეგიონებში - მაშინ მოსარგებლებს შეუძლია რეგიონებში ნებისმიერ ლიცენზირებულ სტომატოლოგიურ კლინიკაში თავისუფალი არჩევანის პრინციპის დაცვით მიიღოს მომსახურება, საქართველოს ტერიტორიაზე.

iii. დამატებითი მომსახურება

გარდაცვალება

დაზღვეულის ნებისმიერი მიზეზით (მათ შორის უბედური შემთხვევის შედეგად) გარდაცვალება, რომელიც იფარება მზღვეველის მიერ, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც გარდაცვალება გამოწვეულია დაზღვეულის მონაწილეობით შემდეგი სამოყვარულო სპორტის სახეობებში: საბრძოლო სახეობები, აკვალანგით ყვინთვა, პარაშუტით ან დელტაპლანით ხტომა, კლდეზე ცოცვა, ალპინიზმი, სპელეოლოგია.

სიცოცხლის დაზღვევა

ითვალისწინებს ინდივიდუალური სადაზღვევო პერიოდის განმავლობაში დაზღვეულის ნებისმიერი მიზეზით გარდაცვალების შემთხვევაში (შესაბამისი გამონაკლისი შემთხვევების გარდა) მისი მემკვიდრისათვის (მოსარგებლისათვის) ფიქსირებული სადაზღვევო თანხის გადახდას. დაზღვეულის გაუჩინარება (უგზო-უკვლოდ დაკარგვა) არ მიიჩნევა გარდაცვალებად.

სამოგზაურო დაზღვევა

ითვალისწინებს დაზღვევას მზღვეველის სამოგზაურო დაზღვევის პოლისის პირობების შესაბამისად. აღნიშნული დაფარვის გასააქტიურებლად/სამოგზაურო დაზღვევის პოლისის მისაღებად, სავალდებულოა, გაკეთდეს შეტყობინება სადაზღვევო კომპანიაში, რის შემდეგაც დაზღვეულის მიერ პასპორტის მზღვეველისათვის წარდგენის საფუძველზე გაიცემა შესაბამისი სამოგზაურო დაზღვევის პოლისი.

უბედური შემთხვევის დაზღვევა

ითვალისწინებს ინდივიდუალური სადაზღვევო პერიოდის განმავლობაში დაზღვეულის მხოლოდ უბედური შემთხვევით გამოწვეული გარდაცვალების შემთხვევაში (შესაბამისი გამონაკლისი შემთხვევების გარდა) მისი მემკვიდრისათვის (მოსარგებლისათვის) ფიქსირებული სადაზღვევო თანხის გადახდას. დაზღვეულის გაუჩინარება (უგზო-უკვლოდ დაკარგვა) არ მიიჩნევა გარდაცვალებად;

iv. დამატებითი ბენეფიტები / ფასდაკლებები

სადაზღვევო მომსახურების გარდა ორგანიზაცია ვალდებულია წარმოადგინოს დამატებითი ბენეფიტებისა და ფასდაკლებების სია **(დანართი #2)** რომელიც სასურველია მოიცავდეს შემდეგ მომსახურებებს:

- ფიზიოთერაპია, სამკურნალო მასაჟი, ესთეტიკური მედიცინა, მანუალური თერაპია;
- რეაბილიტაციური მომსახურებები;
- დიაგნოზტიკურ - თერაპიული მომსახურება;
- დაზღვევის პირობებით გაუთვალისწინებელ ამბულატორიულ სერვისებზე;
- ოფთალმოლოგიურ კლინიკებში მომსახურება;
- ოპტიკურ მაღაზიებში ფასდაკლებები;
- ინვიტრო განაყოფიერება და სხვა მანიპულაციები;

- თმის გადანერგვა/პლაზმოლიფტინგი/მეზოთერაპია;
- ბალნეოლოგიური მომსახურებები;
- პლასტიკურ/რეკონსტრუქციული ქირურგია ;
- სამკურნალო და რელაქსაციური მასაჟი / სპა მომსახურებები;
- ფსიქოლოგიური ცენტრების მომსახურებები.

ბენეფიტებად აუცილებელია იყოს შემოთავაზებული კოვიდ გადატანილ პიროვნებებზე სპეციალიზირებული ანალიზების პაკეტები ან მათზე ფასდაკლება, შესაბამისი აღწერილობით.

v. გამონაკლისები

(ანაზღაურებას არ ექვემდებარება) არ უნდა იყოს განსხვავებული ან მეტი ქვემოთ ჩამოთვლილზე:

- სექსუალური დარღვევების, იმპოტენციის, უნაყოფობის, უშვილობის, კონტრაცეფციის (მაგრამ ანაზღაურდება კომპლექსური მკურნალობისას დანიშნული კონტრაცეპტივის ხარჯები), არასამედიცინო ჩვენებით ჩატარებული აბორტის ხარჯები, რეპროდუქტოლოგიური პრობლემატიკის გამოკვლევასა და მკურნალობასთან დაკავშირებული ხარჯები;
- ფსიქიკური და/ან ქცევითი აშლილობების გამოკვლევისა და მკურნალობის ხარჯები, კერძოდ: ორგანული ბუნების აშლილობანი, სიმპტომატურ აშლილობათა ჩათვლით; ფსიქოაქტიური ნივთიერებებით განპირობებული ფსიქიკური და ქცევითი აშლილობანი; შიზოფრენია, შიზოტიპური აშლილობანი; აფექტური აშლილობანი; ფიზიოლოგიური და ფიზიკური დარღვევებით გამოწვეული ქცევის პათოლოგია; პიროვნული და ქცევითი დარღვევები (ფსიქოპათიები); გონებრივი ჩამორჩენილობა, ფსიქიკური განვითარების დარღვევები; ბავშვთა და მოზარდთა ასაკში დაწყებული ქცევითი და ემოციური აშლილობანი);
- მხედველობის ექსიმერული ლაზერით კორექციის, სათვალის, კონტაქტური ლინზებისა და სმენის აპარატის შეძენასთან დაკავშირებული ხარჯები;
- B და C ჰეპატიტებთან, შიდსთან და მათ გართულებებთან დაკავშირებული გამოკვლევისა და მკურნალობის ხარჯები (მაგრამ ანაზღაურდებას ექვემდებარება პირველადი დიაგნოსტიკა);
- გონორეის, ათაშანგის, შანკროიდის, ვენერიული გრანულომით გამოწვეული დონოვანოზის, გამოკვლევისა და მკურნალობის ხარჯების ანაზღაურება (მაგრამ ანაზღაურდება პირველადი დიაგნოსტიკა);
- ალტერნატიული (ტრადიციული და/ან არატრადიციული) მედიცინის, აკუპუნქტურის, პლაზმაფერეზის, ოზონოთერაპიის, მეზოთერაპიის, ლოგოპედის, ექიმ-ჰომეოპათის, სამკურნალო ვარჯიშისა და სამკურნალო მასაჟის, რეაბილიტაციური (ამასთან ანაზღაურდება ფიზიოთერაპია) და სანატორიულ-კურორტული მკურნალობის, ზრდის ფაქტორის (PRP) ინექციის, მონოკლონური ანტისხეულებით მკურნალობის/თერაპიის, კოსმეტიკური მიზნით ჩატარებული სამედიცინო მომსახურებების ხარჯები; წონის კორექციათან დაკავშირებული ხარჯები; დიალიზთან დაკავშირებული ხარჯები;
- კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნათა შეუსაბამო ან/და სათანადო ლიცენზიის/ნებართვის არმქონე სამედიცინო დაწესებულებებსა და სამედიცინო საქმიანობის უფლების არმქონე კერძო პირებთან კონსულტაციისა და მკურნალობის; თვითმკურნალობის და მისი გართულების ხარჯები; ბიოლოგიურად აქტიური დანამატების, იმუნიზაციის, ვაქცინაციის ხარჯები (გარდა ანტიტეტანურისა, ანტირაბიულისა, ბოტულიზმისა, ანტიგიურზინისა და ბარათით გათვალისწინებულისა). ასევე, ნებისმიერი არასამკურნალწამლო (ბანდაჟი, კორსეტი, სუპინატორი, სამედიცინო დანიშნულების საგანი, სტომატოლოგიაში გამოყენებადი დამხმარე საშუალებები და სხვა), ჰიგიენური და კოსმეტიკური საშუალებების (მათ შორის, ნებისმიერი სახის კბილის პასტა, შამპუნი, საპონი) ღირებულება/ხარჯები, პირის ღრუს სავლები საშუალებების ღირებულება/ხარჯები;
- სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული კანონსაწინააღმდეგო ქმედების ჩადენისას ან თვითდაშავებით მიღებული დაზიანებების მკურნალობის ხარჯები, სამოქალაქო ომში, ნებისმიერი სახის საომარი მოქმედებების დროს, ანტისახელმწიფოებრივ გამოსვლებში, შეიარაღებულ დაპირისპირებაში, ტერორისტულ აქტებში მონაწილეობის შედეგად მიღებულ დაზიანებათა მკურნალობის ხარჯები, საკუთარი ნებით ხიფათში თავის ჩაგდებით (გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ქმედება მიმართულია ადამიანის სიცოცხლის გადასარჩენად), რადიაციული დასხივებისას მიღებული დაზიანების მკურნალობის ხარჯები, მღვიმეებისა და გამოქვაბულების გამოკვლევასთან, აგრეთვე, ფეთქებად ნივთიერებათა განადგურებაში მონაწილეობასთან დაკავშირებული შემთხვევების ხარჯები, ეპიდემიებით, პანდემიებით, გარემოს დაბინძურებით ან სტიქიური უბედურებით გამოწვეული ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესების მკურნალობასთან დაკავშირებული ხარჯები;
- ალკოჰოლიზმთან, ნარკომანიასა და ტოქსიკომანიასთან დაკავშირებული ხარჯები; ასევე, ისეთ შემთხვევებთან დაკავშირებული ხარჯები, რომლებიც პირდაპირ ან არაპირდაპირ შედეგად მოყვა

ნარკოტიკული და/ან ტოქსიკური ნივთიერებების ზემოქმედების ქვეშ ყოფნას; ასევე ალოკოჰოლური, ნარკოტიკული და/ან ტოქსიკური ნივთიერებ(ებ)ის ზემოქმედების ქვეშ სატრანსპორტო საშუალების მართვისას მომხდარი ავტოსაგზაო შემთხვევით გამოწვეული მდგომარეობების/დაავადებების სამედიცინო მომსახურების/მკურნალობის ხარჯები;

- ნებისმიერი პროფესიული სპორტის სახეობებში ან სპორტსმენის სახით სპორტულ სახეობებში (სპორტულ შეჯიბრში, წვრთნაში, საჩვენებელ გამოსვლაში და სხვა) მონაწილეობისას დამდგარ შემთხვევებთან დაკავშირებული ხარჯები (მაგრამ ანაზღაურებას ექვემდებარება ამ პუნქტში მითითებული შემთხვევებით გამოწვეული დაავადებებით და/ან მათი გართულებებით განპირობებული ურგენტული სტაციონარული და ურგენტული ამბულატორიული მომსახურება, გეგმური ქირურგიული ოპერაციები, მათ შორის, ნებისმიერი ქირურგიული ჩარევა);
- თანდაყოლილი და/ან გენეტიკური დაავადებების, თანდაყოლილი და/ან გენეტიკური პათოლოგიებისა და დეფექტების, მათი გართულებების გამოკვლევისა და მკურნალობის ხარჯები. (მაგრამ ანაზღაურებას ექვემდებარება ამ პუნქტში მითითებული დაავადებების, მდგომარეობების, დიაგნოზების და/ან მათი გართულებებით განპირობებული ურგენტული სტაციონარული და ურგენტული ამბულატორიული მომსახურება, გეგმური ქირურგიული ოპერაციები, მათ შორის, ნებისმიერი ქირურგიული ჩარევა);
- ეგზოპროთეზირების (სტომატოლოგიის ჩათვლით) და ორთოპედიული ენდოპროტეზირების (გარდა ტრავმებისა), ტრანსპლანტაციის (ტრანსპლანტების ჩათვლით), ასევე დეფიბრილატორთან ან გულის რესინქრონიზაციული თერაპიის აპარატით აღჭურვილი იმპლანტირებადი რითმის ხელოვნური წარმმართველის ხარჯები; თერაპიული და ქირურგიული სტომატოლოგიის ისეთი ხარჯები, რომელთა გაწევაც საჭიროა ორთოპედიული ან/და ორტოდონტიული სამუშაოებისათვის მოსამზადებლად (გარდა ბარათით გათვალისწინებულისა); ასევე ზოგადი ან მალხენი აირით ანესთეზია სტომატოლოგიური მომსახურებისას;
- ჰოსპიტალური მომსახურებისას (გარდა მშობიარობისა) დამატებითი ან/და ექსკლუზიური მომსახურებების (არასტანდარტული პალატა, აყვანილი ექიმი და სხვა) ხარჯები;
- ის ხარჯები, რომლებიც დაკავშირებულია შესაბამისი საექიმო სპეციალობის/სუბსპეციალობის (პროფილის) არმქონე ექიმის (დამოუკიდებელი საექიმო საქმიანობის სუბიექტი) მიერ გაწეულ სამედიცინო მომსახურებასთან.
- დაზღვეულის მიერ ინდივიდუალური განაცხადის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) შევსებისას განუცხადებელი (დამალული) დაავადებების და მათი გართულებების მკურნალობის ხარჯები.
- თავისუფლების აღკვეთის პერიოდში გაწეული სამედიცინო მომსახურების ხარჯები.